




№ 246
(3223)

1966 წ.
დეკემბერი.
ოთხშაბათი.
ფასი 3 კპ.

საპროლეტარული სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების
აპარატისა და პროლეტარული რესპუბლიკური საზოგადოების
ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций
Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
28-ე წელი

დ. შანიძის II ადგილი

აშხაბადში დიდი წარმატებით სრულ-
ტული სეზონი გაივლია ჩვენი ქვეყნის
სსრ კავშირის გუნდური
ჩემპიონატი. ადგილობრივი ასე-
სპორტული დარბაზის ფიცარზე ას-
პარეზობა დაიწყო ჩვენი ქვეყნის უძლი-
ერესა ათლეტებმა. თურქმენეთის დე-
დაქალაქი პირველად მასპინძლობს ასე-
თი რანგის შეჯიბრებას. დარბაზი 840
სპორტის მოყვარულს იტევს და ცხა-
დია, გულშემატკივართა უმეტესობა ტე-
ლევიზორის ცისფერ ეკრანთან მოკა-
ლაობდა. ამინდი შესანიშნავია — საშუ-
რეთის მზე აცხუნებს.

დამთავრდა შეჯიბრება ორ წონით
კატეგორიაში. შიდა წონის ძალოსან-
თა შორის მაყურებელმა ვერ იხილა
მოფლიო ჩემპიონი ა. ვახანიძე. მისი
ადგილი რსფსრ-ს გუნდში დაიკავა გ.
ჩეტინიძე. გამოცდილმა სპორტსმენმა
მხოლოდ 2,5 კგ-ით აჯობა ახალგაზრდა
ე. ქარიშხლის (უზბეკეთი). ჩეტინის შე-
დეგა 337,5 კგ. III ადგილზე გავიდა
მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი პ. კიმი
(ყაზახეთი) — 325 კგ.

ქვეშეუბუნ წონაში თავი ისახულა სა-
ქართველოს გუნდის წევრმა, სსრ კავში-
რის რეკორდსმენმა დ. შანიძემ. მან
საშუალოდ 357,5 კგ დააგროვა და II
ადგილზე გავიდა. გაიმარჯვა რსფსრ-ს
ძალოსანმა ლ. ანდრიანოვმა — 365 კგ.
III ადგილზე გავიდა გ. ლი (ყირგი-
ზეთი) — 352,5 კგ.

ძალოსნობა

კანადაში

გამგზავრების წინ

სსრ კავშირის პოკეისტთა ნაკრე-
ბი გუნდი გაცხადებულია ემზადება
მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელ-
შიც ავსტრიაში გაიმართება. საბ-
ჭოთა პოკეისტებმა უკვე ჩაატარეს
ამხანაგური — საკონტროლო მატ-
ჩები ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცრის
გუნდებთან. გუნდში კი ჩვენი ნაკრე-
ბი ლუწიკის სპორტის სასახლეში
ეთამაშა ფინეთის გუნდს. მატჩი
მოიგეს საბჭოთა პოკეისტებმა —
3:1.

სსრ კავშირის ნაკრები საერთა-
შორისო მატჩების ჩასატარებლად
კანადას მიემგზავრება.

სპორტული ფილმების

ფესტივალი დაიწყო

გუმბის, მოსკოვში, კინოთეატრ „რო-
სიაში“ დაიწყო სპორტული ფილმების
საკავშირო ფესტივალი. დღეობის
შე წარმოდგენილია სსრ კავშირის წამ-
ყვანი კინოსტუდიების საუკეთესო ნა-
წარმოებები, რომელთა შორის არის სა-
ქართველოს წარმომადგენელთა ნამუ-
შევრებიც.

პროზები

აი, რა პროზები დაიმსახურეს
ჩვენი მოქალაქეებმა სსრ კავ-
შირის ქალთა XXVI საქალაქო
ჩემპიონატი.

ნ. ალექსანდრია:

— I ადგილისთვის
— ყველაზე მეტი მოგებისთ-
ვის (13).

— შავებით ყველაზე მეტი
მოგებისთვის (7).

— ყველაზე უმცროსი ღირ-
ვარბატებისთვის.

ბ. ჩაიკოვსკაია:

— „პროზი — სიურპროზი“
დასცენით ტურში აგრესიული
თამაშისთვის.

მ. კაპაბლანკა:

— ყველაზე ლამაზი პარტი-
ისთვის (ა. მუსლიმეისთან).

გ. აბახაძე:

— პირველთაშიგონებთან
საუკეთესო შედეგისთვის (2,5
ქულა 3-დან).

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — შე-
ვიდა რკინიგზის სადგურზე
(მარცხნიდან) — ნ. გაფრინა-
შვილი, ბ. გურგენიძე და ნ. ალექ-
სანდრია. ქვემოთ — საკავშირო ჩემ-
პიონატის პრიზიორები და პრეტენ-
დენტთა ტურნირის მონაწილენი
(მარცხნიდან) — ნ. ალექსანდრია,

ა. კისლოვა, ტ. ზატულოვსკაია და
გ. კოვლოვსკაია.

ფოტოები მ. ზარგარაიანისა და
ე. მალიშევსკისა (კიევი).

თ ა ს ი სსრ კავშირში დარჩა

დამთავრდა ევროპის თასის გათამაშება კრივში ახალგაზრდებს შორის. ტურ-
ნირის სტარტი მ ქვეყნის ნაკრებმა აიღო, გადამწყვეტ ბრძოლას კი მხოლოდ 2
კოლექტივი შემორჩა: სსრ კავშირისა და პოლონეთის ნაკრები.

ამ გუნდების პირველი მატჩი გაიმართა ლოში, სადაც საბჭოთა მოკრივეებმა
გაიმარჯვეს — 7:3. განმეორებით შეხვედრაში ორივე გუნდმა გადა-
ხალისა შეუდგენლობა, მაგრამ ძალთა შეფარდება მაინც უცვლელი დარჩა. საბ-
ჭოთა კავშირის გუნდმა კიდევ უფრო დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია. ჩვენმა
მოკრივეებმა მეორე ფინალური შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 8:2.

გასულ ორშაბათს რიგაში საბჭოთა გუნდს გადევნა ევროპის თასი.


გუნდები

თბილისის სპორტის საახ-
ლეში გაიმართა საქართველოს
ხელბურთის 10 წლისათვის მი-
ძღვნილი საერთაშორისო ტურნი-
რის მეორე დღის მატჩები.

შედეგები ასეთია: საქართველო
— იუგოსლავია 22:20 (9:17), სსრ
კავშირი — უნგრეთი 17:19 (7:11).

ორი ტურის შემდეგ ტურნირს 4
ქულით ლიდერობს უნგრეთის ნა-
კრები. საქართველოსა და იუგოსლავი-
ის ხელბურთისტებს 2-2, სსრ კავ-
შირის ნაკრებს — 0 ქულა აქვთ.

ხელბურთი



წინ დიდი ბრძოლებია

გუმბის თბილისის რკინიგზის სადგურზე დედაქალაქის
სპორტული საზოგადოებრიობა, მოქალაქეები, მეგობრები
და ამხანაგები შეხვდნენ ქალთა XXVI ჩემპიონატის გმირს
— სსრ კავშირის ჩემპიონს ნანა ალექსანდრიას და მის
მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ბ. გურგენიძეს.
ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ნ. ალექსანდრიასა და
ბ. გურგენიძეს:


— უპირველეს ყოვლისა, მინდა
დიდი მადლობა გადავუხადო ყვე-
ლას, ვინც დღეებში და წერილებ-
შით მამხმარებდა, მჭიმავდა და
ჩემპიონობა მომიღო, — თქვა
ნანამ. — რა თქმა უნდა, უსაზღ-
ვროდ ბედნიერი ვარ, რომ პრეტენ-
დენტის უფლებასთან ერთად ჩემ-
პიონის ოქროს მედალი მოვიპოვე.
ამაზე ოცნებას კი არ შემეძლო.
სიხარულის უამს არ შემეძლია ულ-
რემის პარტიციპაციით და მადლო-
ბის გრძნობით არ მოვიგონო ვახ-
ტანგ ქარსელაძე, რომელიც წლების
მანძილზე მამხმარებდა ამ წარმატე-
ბისთვის. როგორც ხედავთ, მის
ამაგს უქმად არ ჩაუვლია.

კიდელები დიდ ყურადღებას
იჩენდნენ ტურნირისადმი. ეს გვაშ-
ნევებდა, გვახარებდა. დიდად დამე-
ხმარა ბუნებრივი გურგენიძე. იგი არც
დროს, არც ცოდნასა და მონდობე-
ბას არ იშურებდა.

მომავლის გეგმები გაინტერე-
სებთ? გასადა ორი მეტად ძნელი
ტურნირი მელის: მოქალაქე გოგო-
ნათა მსოფლიო პირველობა და
პრეტენდენტთა ტურნირი. ჩემი უა-
ხლოესი ამოცანა კი უნივერსიტეტ-

ში ზამთრის სეზონის წარმატებით
ჩაბარება და დასვენებაა.

— ნანა უაღრესად ნიჭიერი მოქალ-
აქეა, მაგრამ მის ესოდენ დიდ წარმა-
ტებას მაინც არ ველოდი, — თქვა
ბუნებრივი გურგენიძე. — იგი, როგორც
ღვაწლმოსილი მწვრთნელის ე. ქარსე-



ლადის ყველა მოწაფე, მებრძოლი, კომ-
ბინაციური სტილით თამაშობს და გან-
საკუთრებით ძლიერია ღია პოზიციებ-
ში. ტ. ზატულოვსკაიას მწვრთნელი,
სპორტის დამასურებელი ოსტატ ე.
მაკაგონოვი გაოცებული ადევნებდა
თვალს ნანას კომბინაციურ იერულს
იდელრიკთან ბარტიაში. არა, ქალის
ასეთი ვაჟკაცური თამაში ადრე არ მი-
ნახავს, მითხრა.

შესანიშნავი მესხიერება, მტკიცე სა-
სიათი, მახვილი, ტაქტიკური თვალ-
კომბინაციის ალღო და ბრძოლის წყურ-

ვილი, — აი, ალექსანდრია, როგორც
მოქალაქის ძალის განმსაზღვრელი ნი-
შნები.

ნანას თამაში ჯერ კიდევ არ არის
უნაკლო. მაგალითად, მას დრო დას-
ჭირდება, რომ პოზიციური თამაშის
საიდუმლოებს ღრმად ჩასწვდეს. ამი-
ტომ ცოტა ნაადრევია მტკიცება, რომ
ნანა უთუოდ მოიპოვებს მსოფლიო პირ-
ველობაზე მატჩში თამაშის უფლებას.
პრეტენდენტთა ტურნირში მას ძალზე
ძლიერი მეტოქეები ეყოლება.

კიდელებმა ნანა განსაკუთრებით შე-
იყვარეს. თითქმის ყველა მის გამარჯ-
ვებას მასპინძლები ტაშით ეგებებოდნენ.
რაც შეეხება ვაჟთა 34-ე ჩემპიო-
ნატს, მე მას დიდი პასუხისმგებლობით
ესვდები. ახლა მე, როგორც თბილისის
პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის
ჭადრაკის კაბინეტის მწვრთნელი, მეტი
მოთხოვნები. განა შეიძლება ნ. ალექ-
სანდრია, რ. ჯინჯიხაშვილის, ა. ბოკუ-
ჩავას, თ. გიორგაძის მწვრთნელმა დიდი
მონდომებით არ ითამაშოს?

ტურნირისთვის მზად ვარ. კიდეც
ჩემპიონატმა, დამბულობამ ოდნავ და-
მდალა, მაგრამ ვიმედოვნებ, სტარტის-
თავს ფორმაში ვიქნები.



კურორტს ღაბმუშენებს... „ღაბმუშენი“

კაპიტალიზმის
საბოლოო კოლაპსის
მუდმივად

3-ის წყალტუბოში ყოფილ...
უთუღო ემასტოვება ხელოვნური ტბა სანატორიუმში „შანტორთან“. ადგილობრივი მკვიდრთათვის მისი ისტორია კარგად ცნობილია. წინათ აქ ჭაობიანი, გაუვალელი ადგილი იყო. მერე ტბა დააგუბეს და ნაპირი ხალხის სამასურში ჩააყენეს. ჭირვეული გამოდგა ტბა, ტარა მდინარე — წყალტუბოსწყალი. ტბის კალაპოტი თანდათან ისე დასალა, რომ ბოლო ხანს წყალი კოჭამდეც არ მოწვდებოდა კაცს.

მაშინ გადაწყვიტეს დასილული კალაპოტი გაეწმინდათ და ტბა აღედგინათ. დაიწყო თიხა და სილა იქვე, რამდენიმე ათეული მეტრის ღრმობით ვრცელ, უსწორმასწორო ადგილზე გადაიტანეს და დატკეპნეს. ამით გადაწყდა წყალტუბოს „ლუწიკის“ მშენებლობის საკითხი.

ახალი ბაზის შექმნის იდეა გერ კიდევ შარშან დაიბადა, მაგრამ ერთხანს სპორტული კომპლექსის

თვის შესაფერისი ადგილი ვერ შეიძინეს. ახლა კა უკვე პირველი პრაქტიკული ნაბიჯიც გადაიდგა. საქმეში ჩაერია ტექნიკა. მანქანები ახალ აუზს უყრან სამუშაოებს.

— როგორ მოაწყობთ აუზს? — გვითხრობს წყალტუბოს რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე ს. კინწურაშვილი.

— აღგორბილი ხელმძღვანელი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, აქ „ლუწიკის“ ცისფერ ზოლს გავეყვებით. ეს იქნება ხელოვნური ტბა, წყალგამართობის სადგური და საცურაო აუზი.

წყალტუბოს „ლუწიკის“ მშენებლობა რაიონის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალეებით უნდა გახორციელდეს. პირველად წყებით სამუშაოებს კი კლერტის მართვის საბჭოს სამშენებლო-შემკეთებელი კანტორა ასრულებს.

ჩვენ ტბის კალაპოტის გაწმენდა და სპორტული მოედნებისთვის ნიადაგის მოსწორება გვაქვს დაგეგმილი. ვალდებულებას ვაძლავთ გავანადგებოთ, რათა სხვაც დროულად შეუდგეს საქმეს. გვითხრა სამუშაოთა მწარმოებელმა ბ. გვიდანიამ.

აქვე გეცნობთ კიდევ ერთ სამუშაოთა მწარმოებელს, რაიონის გამ-

წვანების კანტორის წარმომადგენელს გ. გუნდაშვილს. მისი პრივილეგიები მუშაობენ „ლუწიკის“ მშენებლის დაგეგმვისთვის.

ახლა მომავალი სპორტული მოედნებისკენ გავყვით ღაბმუშენის მანქანებს. თვითმცოდნეობა თვითსუფალ ადგილზე „მოიხსნეს“ ტერიტორია. მთელ ეს ოდრო-ოლორად ადგილი ხელისკუთხედით, მოსწორდება და ფეხბურთის მიწოდება, კალათბურთის, ფრენბურთისა და ჩოგბურთის მოედნებს მოაწყობენ. სტადიონს დაამშენებს ძმ. ლომი-ნაირი სექტორები და ბაილეები. აქვე აიგება გასასვლელი, სამაგები, მწვანელოთა ოთახები, სხვა დამხმარე სათავსოები. კარგი რელიეფი გააიოლებს მრავალრიცხოვანი მაყურებლისთვის ტრიბუნების მოწყობასაც.

— დიდა საქმე კეთდება, დიდი ხმობაა? — ჰკითხა ჩანაწერის დამცემს კერძო უნდა იქცეს. — ამბობს სოფელ გომბიის საშუალო სკოლის ფიზიკური მასწავლებელი გ. ბარბაქაძე, რომელიც ახლა რამდენიმე უფროსკლასელ მოსწავლესთან ერთად მოსულა მშენებლობის ადგილას დასათვალიერებლად.

მართლაც, საშუალო სკოლა საქმეა წყალტუბოელს ეამაყებათ, რომ მსოფლიოში ცნობილ კურორტს დიდი სპორტული სარბილე ექნება და რომ ამ სარბილეზე სახელმწიფო სპორტსმენები და გუნდები დასაბრუნდნენ. ახალი ბაზა საუკეთესო პირობებს შექმნის რაიონში ფიზკულტურული საქმიანობის მასობრივად გაშლისა და სპორტის პოპულარიზაციისთვის.

ენტუზიაზმი არ უნდა განელდეს. წყალტუბოს „ლუწიკის“ მშენებლობის გახორციელება იქნება იმ სპორტკომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნის შესრულება. პარტიამ და მთავრობამ რომ დასაბეს ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვის.

მ. ბაჩანიშვილი.

(ჩვენი სპეც. კორ.).


წყალტუბო.

ს უ რ ა თ ე ბ ე წ: წყალტუბოს „ლუწიკის“ მშენებლობაზე. ფოტო ავტორისა.

ლაგოდეხი

ორ თვეს გრძელდებოდა ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნე ფეხბურთელთა პირველობა, რომელიც მივიღეთ სსრ კავშირის ხალხთა IV საუბრეო სპორტკავშირის შეჯიბრებაში მონაწილეობა 9 გუნდი. ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა ულიანოვსკი ფეხბურთელი გუნდი „თაშირის“, რომელმაც 15 ქულით I ადგილი მოიპოვა. II ადგილზე გამოვიდნენ ყარსუბის გუნდი „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელები. III ადგილი დაიკავეს ბაისუნელი გუნდი.

მ. კამბარაშვილი.



პროფესორი
დაბადების წელი
პაპაშვილი
45 წლისაა

ლაგოდეხი იუბილე

საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის სხდომა დასასრულს უახლოვდებოდა.

— ამხანაგებო, — თქვა თავმჯდომარე — უკვე მომწიფდა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის მუშეების განხილვის საკითხი. შენობა გვაქვს, მასალა, მოგვსვენებთ, უამრავი, მაგრამ რა მოვარა, გვეჭირდება კაცი, რომელსაც ესმის, უყვარს ეს საქმე, რომელიც ხისტემაში მოიყვანს მდიდარ მასალას, უსაყიდლოდ გაუძღვება ამ დიდ სამუშაოს.

პრეზიდიუმის წევრები წუთით ჩაფიქრდნენ. ვინ იყირბენ, ვინ უსცლმდებოდათ ამ სამუშაოში, ფაქტობრივად, საპასუხისმგებლო საქმეს?

კანდიდატურა ერთხმად დაასახელეს.

მეორე დღეს სპორტის მუშეების საზოგადოებრივი დირექტორი გულდასმით უსმენდა საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის და უკვე გონების თვალთა შიგნით — სად, როგორ, რა გზით შეგვრთვინა საქმის მასალა, როგორ მოეწყო მუშეები და, საერთოდ, როგორ გაძლიერდა ამ პატრონულ საქმეს.

ასე მიიღო კადრები ერთი დიდი დავალება 70 წელს მიღწეულმა, კარგად გასწავლულმა, მოღვაწემ, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის გამგემ, პროფესორმა მიხეილ ანთიმოვის ძე გორგაძემ.

კანდიდატურას რომ ასახელებდნენ, სპორტკავშირის პრეზიდიუმის წევრებს მხედველობაში ჰქონდათ მიხეილ გორგაძის ცოდნა, გამოცდილება, მამულიშვილობა და, რაც მთავარია, საქმის სიყვარული. ასეთი დავალება ერთხელ და ორჯერ როდი მიუღია მ. გორგაძეს. 1925 წელს საქართველოს ალკ

ტენტრალურ კომიტეტთან არსებულ პიონერთა ცენტრალურ ბიუროში ჩააბარეს საპასუხისმგებლო საქმე. 1928 წლიდან კი განათლების კომისიისათვის ფიზიკური აღზრდის ინსპექტორად დაავალეს. უკვე 1931 წელს მ. გორგაძე მოწვევით დაამთავრა ამიერკავკასიის (ამჟამად აზერბაიჯანის) ფიზკულტურის ინსტიტუტის დაარსებაში და მერე 3 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

1933 წელს კი ჯანსოფილურ თანამემამულეს კვლავ თბილისში ჩამოსვლა და ფიზიკური კულტურის ტექნიკურის დაარსებაში დახმარება სთხოვეს. მ. გორგაძე 3 წელი უდგა სათავეში ამ ტექნიკურს, ხოლო როცა, 1936 წელს, დასვა საკითხი უნივერსიტეტში ფიზკულტურის ფაკულტეტის, შემდეგ კი, 1938 წელს, ფიზკულტურის ინსტიტუტის შექმნის შესახებ, ცხადია, ამადარადამიანს ახალი საქმე გაუჩნდა.

სამამულო ომის დამთავრებიდან მთელი 10 წლის მანძილზე მ. გორგაძე ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყო, ხოლო 1955 წლიდან დღემდე წარმატებით უძღვება საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრას.

მიხეილ გორგაძეს იცნობენ, როგორც დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგსა და მეცნიერს. მისი აღზრდილები დღეს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოღვაწეობენ, ერთი ნაწილი კი მასთან ერთად, ინსტიტუტში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. მ. გორგაძის შრომები — გამოკვლევები ფიზიკური კულტურის ისტორიის, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, მათი ავტორის მაღალ კულტურასა და მეცნიერების ამ ახალი დარგის — ფიზკულტურის ისტორიისადმი დიდ სიყვარულზე მეტყველებს.

სწავლაში, სპორტულ მუშაობაში, პედაგოგიურ-მეცნიერულ მოღვაწეობაში მიიწერა 70 წელი. მიხეილ გორგაძე დღესაც წუთითაც არ წყვეტს ჯაფას. და ვინც მას იცნობს (მიხეილ გორგაძეს კი მრავალი ადამიანი იცნობს არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც), ვინც იცნის მისი მოუწყვარი და დაუთქველი ხასიათი, სურს, რომ იგი კიდევ დიდხანს გაუწევს კეთილ სამსახურს საქართველოს სპორტულ მოძრაობას.

ა. ციხაძე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ისტორიისა და ორგანიზაციის კათედრის უფროსი მანუალებელი, სპორტის გამოყენებითი სახეობების ფაკულტეტის დეკანია.

13 ფლის მანქანა

თბილისის მწვანეთა სკოლის მესამეკლასელებმა მ. ზარიძემ, ე. ჯაფარიძემ, ი. ავალიძემ, გ. მერტიანმა, პ. კრასნოვმა და ს. ელსლუთაშვილმა ამას წინათ საინტერესო გამოკვლევა ჩატარეს. სტუდენტებმა ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებლის ლ. გიორგაძის ხელმძღვანელობით შეისწავლეს და გაანალიზეს მძლეოსნობაში საქართველოს რეკორდების ზრდა 1953-1966 წლებში.

რესპუბლიკის რეკორდების დღევანდელი დონე ოლიმპიურ სანთებში ისეთ სურათს იძლევა: ვაჟთა 3 რეკორდი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმას შეეადამება, 14 — სპორტის ოსტატისა, 2 — სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და 2 — პირველი თანრიგის (ჯორჯ ტყორცა და 5.000 მეტრზე რბენა).

ქალთა რეკორდები კი შესაბამისად ასეთი მდგომარეობაა: 1; 5; 3 და 3 (პირველი თანრიგები 400; 800 მეტრ-

ზე რბენასა და შუბის ტყორცაში) მაშინ, როცა ადგილობრივ აუცილებელია გუნდში სპორტის ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები გვაყავდეს. მაშასადამე, საჭიროა მწვანეთა უფრო წინადაცვლილი მუშაობა, რათა აქედან პირველი თანრიგის დონის რეკორდები ოსტატობის კანდიდატის ნორმის დონემდე მაინც ამაღლდეს.

როგორც ცნობილია, წლეულს ბევრი შედეგი „გაახალგაზრდადა“. 1953-1966 წლებში საქართველოში რეკორდი შეიცვალა ოლიმპიური პრიორამის ყველა 33 სახეობაში (გაყვების 21 და ქალთა — 12). განსაკუთრებით უხეშოსავლიანი იყო წლეულწელი სეზონი, როცა გაუზოგბეს და ვაჟთა რეკორდების 31 და ქალთა რეკორდების 9 პროცენტი.

13 წლის მანძილზე საქართველოს რეკორდების ზრდის პროცენტული ანალიზი საშუალებას იძლევა იხილო 4 სხვადასხვა ჯგუფად დაფიქსირებული შედეგების

ზრდის მიხედვით კი არა, მათი შესრულების ხასიათითაც.

I ჯგუფში შედის ტყორცნები (შუბი, ბადრი, ურო, მირთვი). ტყორცნა ტექნიკური, აქტიურ-ძალისმიერი ხასიათის ვარჯიშია, რომელმაც ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა შესრულების ტექნიკაში.

II ჯგუფს მიეკუთვნება სტიმული სახეობები (სიგრძე, სიმაღლე, ჭოკით, სამსტომი). ეს სახეობებიც ჩართონ ნელ-ძალისმიერი ხასიათისა, აქვე მნიშვნელოვანი სიახლე იგრძნობა ტექნიკაშიც, მაგრამ ზრდა ნაკლებია.

III ჯგუფში შედის საშუალო და გრძელ დისტანციებზე რბენა, თარბენი და ესტაფეტა. ეს სახეობები მაღალტექნიკური მომზადებასთან ერთად სპეციალურ თვისებებსაც მოითხოვს. 200 მეტრზე თარბენში რეკორდი ამ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს, მაგრამ შედეგთა ზრდის მიხედვით იგი ანსამბლიდან წარდება (შაღლი მაჩვენებლები თარბენში იმდენად აისხნება, რომ აქ

ხშირად სპირინტერებიც დარბიან). და ბოლოს, IV ჯგუფში დარბენა სპირინტერული რბენა, ანდაც რეკორდების ზრდა მინიმალურია.

ანალიზმა ცხადყო, რომ ჯერ კიდევ არ დგას სათანადო მიმართულება ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდების შერჩევის საქმე. ამან გარდა, არც ახალგაზრდა სპორტსმენებთან მუშაობა იცნაყოფიერი, როგორც უნდა იყოს.

რესპუბლიკური რეკორდების უმეტესობა დამყარებულია ნოემბერ-დეკემბერში (მაშინ, როცა, ჩვეულებრივ, რეკორდებს იღობს-ოქტომბერში ამყარებენ). ეს ძირითადად პირობების სპეციფიკურობით აისხნება. მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, ზოგიერთი მწვანეთელი ვერ ახერხებს სპორტსმენები სწორედ ამ დროისათვის მოამზადოს, ხათანადოდ განაწილოს სამრძოლველად, როცა ეს ყველაზე მეტადაა საჭირო.

გამოკვლევის შედეგად სტუდენტებმა დაასკვნეს, რომ: 1953-1966 წლებში სარეკორდო შედეგების ზრდის დინამი-

კა არანორმალური იყო, მიღწევების ხარისხი კი — უთანაბრო.

კვლევის მონაწილეობის აზრით, საქართველოს რეკორდები შეიძლება საკუთრივ მიღწევების დონემდე ავიყვანოთ. ამას განაპირობებს პირველ ყოვლისა, „სპორტის დედიქის“ მასობრივი განვითარება, რაც საშუალებას მოგვცევს სათანადო ცვლა გამოვავლინოთ და ახალი რეკორდმწენები აღვზარდოთ. დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტული წვრთნის პროცესის დაგეგმვის რაციონალური საფუძვლების, მათ შორის მრავალწლიანი პერსპექტიული გეგმების დამუშავებას.

საჭიროა აგრეთვე წვრთნის მეთოდობისა და ინტენსივობის გაზრდა, სპორტული ტექნიკის სრულყოფა. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ინვენტარს, შეჯიბრებისა და ვარჯიშის ადგილებს.

სსრ კავშირის ხალხთა IV სპორტკავშირის მზადება და სამეზობლო გეგმები ამ ამოცანების დროულად გადაჭრაში მოითხოვს.

3. ბარბარაშვილი.

მოგზაობა მოქალაქეებთან...

წლებს სსრ კავშირის ხელშეწყობითაა ჩატარებული ტურნირების მთელი სერიაში მონაწილეობა. ეს ტურნირები, როგორც სპორტსმენების ინტერესებისთვის, ისე მოსახლეობისათვის, მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მათი მიზანია, ხალხს აჩვენოს, რომ სპორტის სახალხო ხელოვნებაა. ტურნირები მომავალშიც გაგრძელდება. ამჯერად ტურნირის სახალხო ხელოვნებასა და სპორტსა დასაინტერესებინათ მოსახლეობა. ტურნირის მნიშვნელობაა, რომ ხალხს აჩვენოს, რომ სპორტის სახალხო ხელოვნებაა. ტურნირები მომავალშიც გაგრძელდება. ამჯერად ტურნირის სახალხო ხელოვნებასა და სპორტსა დასაინტერესებინათ მოსახლეობა.

აღარ დაუდეს და ტაიში რომ დამთავრდა, მხოლოდ 2 ბურთით აგებდნენ. თამაშის მთელი ხანგრძლივობა მხოლოდ 2 ბურთით აგებდნენ. თამაშის მთელი ხანგრძლივობა მხოლოდ 2 ბურთით აგებდნენ. თამაშის მთელი ხანგრძლივობა მხოლოდ 2 ბურთით აგებდნენ.

დანაც მიიტანა იერიში. მრავალი ხარვეზი პირობით დატოვდა. პირველი ხელშეწყობის წინააღმდეგ შედეგები უშუალოდ კარის სახალხო ხელოვნებასა და სპორტსა დასაინტერესებინათ მოსახლეობა. ტურნირების მნიშვნელობაა, რომ ხალხს აჩვენოს, რომ სპორტის სახალხო ხელოვნებაა. ტურნირები მომავალშიც გაგრძელდება. ამჯერად ტურნირის სახალხო ხელოვნებასა და სპორტსა დასაინტერესებინათ მოსახლეობა.



ლოვი (1), გარტოზია (1), ბუნაძე (2). მატჩში გამომდინარე აგრეთვე — კიკაბიძე (3), გარტოზია (2), სხივგული (2), კიკაბიძე (2) და ზაქარიაძე (2). ტურნირის ნაკრები — აბაიშვილი, ფსაკაძე (3), ცერცვაძე (5), ლეგვინაძე (2), სოლომონი (1), მარტოვი, ზეფანოვი (2). თამაშის აგრეთვე კიკაბიძე, გურგენიძე და შერეგინი.

იუგოსლავიისა და უნგრეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა, როგორც უკვე ვიწყოთ, დამთავრდა უნგრეთის გამარჯვებით — 19:15 (9:9). განსაკუთრებით დამაინტერესებელი იყო პირველი ტაიმი. შეხვედრის შემდეგ იუგოსლავიელებმა ოდნავ შეანერეს ტემპი და ეს წაგების ფასად დაუკრძალა.



დინამიკადღეს მოთხილამურებმა ამ სეზონში პირველი ოფიციალური სტარტი კავკასიონში აიღეს. ესტაფეტაში — „ბურჯესტაიში“ პრიზზე ქალაქის 860 უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა. სურათზე: ქალთა ესტაფეტის დისტანციაზე.

უინალი ქარზეა მოგზაური

აზერბაიჯანისა და საქართველოს მოკრივეთა ნაკრები გუნდების ორთაბრძოლა სამატრო შეხვედრად გადაიქცა მას შემდეგ, რაც სომხეთის გუნდმა გაუგებარი მიზეზით უარი თქვა მასში მონაწილეობაზე. გრაფიკით კი ეს ღონისძიება 3 მომგერე რეპარტულის მოკრივეთა ტურნირი უნდა ყოფილიყო, რომელიც მოხდა სპარტაკიადისთვის მზადების შემოწმების მოცემულ ეტაპზე. მაგრამ ძალთა დათვლით გასულია და ერთგვარად დასვენების გამოსადგინად სამატრო შეხვედრაც საუკეთესო საშუალება გამოდგა, რადგან მან თვალნათლივ გვიჩვენა მზადების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. სამწუხაროდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნეგატიური მხარე აშკარად სწავრობდა პოზიტიურს. ჩვენ არ ვიცით სამატრო შეხვედრის შემდეგ რა გუნდებზე დადგნენ აზერბაიჯანელები ნაკრების შეერთების და ხელმძღვანელები. შესაძლოა მათ გარკვეული ამოცანაც ჰქონდათ — მოეხიზნათ ძალები და ახალგაზრდებისთვის გამოცდილების მიღების საშუალება მიეცათ (შევინანათ, რომ სტუმრებს აგრეთვე სანახევროდ პირველთაშორის ნებით აყო დაკომპლექტებულ). თუ ეს ასეა, ამოცანა მათ შესაძლებელია. საქართველოს ნაკრების საღვთისო სახე კი ჩავაფიქრა. ყოველ შემთხვევაში, ღმრთი უკვე გახდა ცხადი, რომ ნაკრების შეერთებას, მის ხელმძღვანელებსა და წევრებს დიდი მუშაობა მართებთ, რათა მომავალი ზაფხულისთვის ნაკრები რეალურად დადგეს აქციონს. პირველი და მთავარი, რაც კვირის მატჩის შემდეგ გაცემოდათ თვალში, რამდენიმე სიტყვით შეი-

ძლება გამოითქვას: გუნდი არ არის ფორმალური, ეს შეხვედრა როგორც პირველი, უმჯობესი წონის, ისე ნაკრების „მომხმე არტილერიას“. ახალგაზრდა პირველთაშორის ნებისგან ს. ჯაბოვიცისგან, ნ. გარბაჩისა და ვ. კლუბნიკოვიცისგან მეტს არც მოველოდით. ისინი ნაკრებში აკლიმატიზაციას გადიან და მათ მამართ ნაყოფად მომთხოვნი უნდა ვიყოთ. როდესაც გუნდის ვეტერანები (გ. ვარდანისი, ვ. ცერცვაძე, რ. აკოფოვი და სხვ.) არაფერს სახარბიულოს არ გვჩვენებენ, ეს უკვე საგანგაშოა. პირდაპირ უნდა ვთქვათ. კვირის მატჩში უსუსურად გამოვიდა ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და ტექნიკური მოკრივე ვ. ცერცვაძე. ა. ოგანოვთან დამარცხება ცერცვაძისთვის გამაფრთხილებელი სიგნალი უნდა იყოს. მართალია რ. აკოფოვიც მოუგო ნ. გარბაჩის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ გაპარვებით თვით აკოფოვიც არ არის კმაყოფილი. იგივე უნდა ვთქვათ გ. ვარდანისზე, რომელსაც კრივს სამყარო იცნობს როგორც მაღალტექნიკურ და შეუპოვარ მებრძოლეს.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალი კარზეა მომდგარი. მწვრთნელებმა, გუნდის ხელმძღვანელებმა და თვით სპორტსმენებმა ყველაფერი უნდა იდონონ, რათა დარჩენილ დროში გააუმჯობესონ ნაკრების საბრძოლო პოტენციალი. უნდა გვახსოვდეს, რომ წინა მუნდის გამოცდა გაცილებით უფრო მრისხანე შეტოვებთან.

საბურთალოს მოქალაქეებთან

გასულ ორშაბათს თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დამთავრდა საქართველოს უძლიერესი ათლეტთა პირადი პირველობა კლასიკური ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ჯგუფებისათვის თითქმის ყველა ქალაქის 120 მოჭიდავე. ტურნირმა ჩაიარა ორგანიზებულად, მაღალ სპორტულ-ტექნიკურ დონეზე. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო ათლეტთა სწრაფი აგრესიული და შინაარსიანი ბრძოლის სურათი. მოჭიდავეთა უმრავლესობა აქტიურ ბრძოლას არ გაურბოდა მათში, როცა გამარჯვება უკვე გარანტირებული ჰქონდა. ჩემპიონატში არ გამოდიოდნენ ჩვენი წამყვანი მოჭიდავეები. ისინი პოლონეთში მოკლევადიან საკავშირო შეჯიბრებაზე იმყოფებიან. ამის მიუხედავად ბრძოლა ყოველ წონით კატეგორიაში უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი გახლდათ. ტურნირმა რამდენიმე პერსპექტიული მოჭიდავე გამოავლინა. ერთ-ერთმა მათგანმა, თბილისელმა ვ. ანტონოვმა ტექნიკური ჭიდაობისთვის საპეციალური პრიზიც კი დაიმსახურა. აი, ტურნირის პრიზიორთა სია:

უმაღლესი წონის: 1. ა. შირაზიანი, 2. გ. ხარაზოვი (ორივე — თბილისი), 3. ე. მეგრელიშვილი (შაბარაძე).

მძიმე: 1. ა. ხახანოვი, 2. გ. ხა-

ვოიანი (ორივე — თბილისი), 3. ს. ბუნიაშვილი (ქიათურა).
მშუამშუომძიმე: 1. ი. ევაძე, 2. ვ. ანტონოვი, 3. ი. ტატიშვილი (ყველანი — თბილისი).
მსშუამძიმე: 1. ვ. კანკავა, 2. თ. ფილიშვილი, 3. ლ. მჭედლიშვილი (ყველანი — თბილისი).
მშუამშუომსუფთა: 1. ვ. ხანდოლიშვილი, 2. ი. ბურილაძე, 3. რ. ლუ-

თ. ბარამიძე-ჩემპიონი

საქართველოს მოსაშუალო წლებში ჩემპიონატში რომელიც ქუთაისში მოეწყო, 1-11 ადგილები გაიყვეს რუსეთის სამხედრო-დისპანსერის მთავარმა ექიმმა, სპორტის ინსტრუქტორმა ბარამიძემ და ქუთაისის საგალანტერიო ფაბრიკის მუშამ, ინსტრუქტორის კანდიდატმა ი. მომღვრეშვილმა — 10,5-10,5 ქულა. ამ დღეებში რუსეთში მოეწყო ბარამიძე — მომღვრეშვილის მატჩი ჩემპიონის გამოსავლენად. მეტოქეებს 6 პარტია უნდა ეთამაშათ. ორთაბრძოლის ყოველი დამთავრების შემთხვევაში, თამაში გარტოვდებოდა პირველ მოგზაურად.

I პარტიაში ბარამიძეს (თეთრები) უპარტესობა ჰქონდა, მაგრამ იგი გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. 29-ე სვლაზე მეტოქენი დაზარდნენ. II პარტიაში გარკვეულ მომენტებზე მომღვრეშვილი კარგად თამაშობდა, მაგრამ შეცდომის შემდეგ ვეღარ გამოასწორა პოზიცია და დამარცხდა. III-IV პარტიები ყოველი დამთავრდა. მეხუთეში კი თ. ბარამიძემ იმარჯვა და ჩემპიონიც გახდა — 3,5:1,5.

რ. ბარამიძე, (ჩვენი კორ.).

სურათზე: ი. მომღვრეშვილი (მარცხნივ) და თ. ბარამიძე თამაშის დროს.

საქართველო

● **ბელგრადი, 19 დეკემბერი.** „დუნაის თასზე“ აქ გამართულ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს გორკის „ტორპედოს“ ჰოკეისტებმა. გადამწყვეტ შეხვედრაში მათ დაამარცხეს რუმინეთის გუნდი — 7:1. ტურნირში 111 ადგილი დაიკავეს ოუკრაინელებმა სპორტსმენებმა.

● **ბერლინი, 19 დეკემბერი.** სოციალისტური ქვეყნების დინამოულ ფრენბურთულთა VIII სპარტაკიადში გაიმარჯვეს რუმინეთის ვაჟთა და გღრ-ის ქალთა გუნდებმა. მოსკოვის „დინამოს“ ვაჟთა გუნდი 111 იყო, ქალთა 11.

● **სიბერე, 19 დეკემბერი.** სახელგანთქმულმა ავსტრალიელმა მორბენალმა რ. კლარკმა 2 კვირის განმავლობაში სამჯერ დაამარცხა კენიელის ნაფტალი ტემუ. ამ უკანასკნელმა კლარკს აჯობა ბრიტანეთის ერთა თანამგებობის თამაშებზე 6 მილზე რბენაში.

● **დუბაი (კაბერენი), 19 დეკემბერი.** დაგომეასა და ნიგერიაში გამოსვლების შემდეგ, ალჟირის „კაიროს“ კამერუნში ჩავიდა და ქალაქ ლუალაში შეხვდა სანაპირო რაიონის ნაერებს. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0.

● **ოტავა, 19 დეკემბერი.** საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად კანადაში ჩავიდა სსრ კავშირის ჰოკეისტა II ნაკრები. სამკოთა სპორტსმენები ვანკუვერში შეხვედნენ კანადის ერთგულ ნაერებს, რომელიც ამ ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიკავებს ავსტრალიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 7:3.

● **მეხიკო, 19 დეკემბერი.** 1966 წლის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს სპორტის ზოგიერთ სახეობაში შესარჩევი შეჯიბრებები ჩაატარონ არა მეხიკოში, არამედ პროვინციულ ქალაქებში. ასეთი განცხადება გააკეთა საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა რამირეს ვასკესმა. ეს შეეხება ფეხბურთსა და კალათბურთს. მოსალოდნელია, რომ ფეხბურთელები შესარჩევ მატჩებს გამართავენ გუადალაჰარაში, ლოკა და პუებლოში. ამჟამად განიხილება საკითხი ცხენოსანთა შეჯიბრების ადგილსამყოფელის შესახებ. ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა თხოვნით მიმართა საერთაშორისო კომიტეტს შეჯიბრება გახედვანში ჩატარდეს ქალაქ მორელისში, რომელიც ზღვის დონეზე მდებარეობს.

● **მარსელი, 19 დეკემბერი.** ფრედ აღინიშნა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში რეკორდსმენების — ფ. ვიგანდისა (გდრ) და ა. მოსკონის (საფრანგეთი) დუელი. თავისუფალი სტილით 200 მეტრზე ცურვაში გაიმარჯვა მოსკონმა. სამაგიეროდ, 200 მეტრ დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში ვიგანდმა რეგანში აიღო — 2.18,0.

ამ ორ ახალგაზრდას, სურათზე რომ არიან აღბეჭდილი, საფრანგეთის მოცურავეთა ოლიმპიურ იმედს უწოდებენ და სამართლიანადაც. კლადია მანდონი (მარცხნივ) და ალენ მოსკონი მსოფლიოს შარშან გააცნეს თავი საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით გამოვლით, წლეულს კი უტრეხტში, ევროპის პირველობაზე ოქროსა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მოსკონი კარგად გამოვიდა მეხიკოს ოლიმპიურ კვირეულშიც, აკაპულკაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიოს რეკორდი ჩამოართვა გერმანელ ფ. ვიგანდს.

კლადიას რომ ჰქონოთ სად ატარებს დღეს, გიბასუხებთ: სკოლაში, აუზში და, რა თქმა უნდა, შინ. მას ძალიან უყვარს კინოც, მაგრამ მეხიკოს ოლიმპიადისთვის მზადების გამო ახალი ფილმებისთვის განუთვნილი დრო მეტისმეტად შეამცირა.

ჩემპიონატები, მატჩები, დიდი მებრები

საპუტარი ინფორმაცია

პორტუგალია: „გენფიკა“ ლიდერობს

ჩემპიონატის XI ტურში ქვეყნის ჩემპიონმა ლისაბონის „სპორტინგმა“ ბარეირაში მოუგო ადგილობრივი გუნდი — 3:1. ლისაბონში „გენფიკამ“ დაამარცხა სეტუბალის „ვიტორია“ — 1:0. თაისის მფლობელი ბრაგას „სპორტინგა“ შანდამარცხდა „გაიმარაისთან“ შეხვედრაში — 2:3.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „სან-ჟოანენსე“ — „ბელენენსისი“ 0:0, „პორტო“ — „ბეირა მარი“ 4:1, „ავაღემიკა“ — „ლეიქსისი“ 2:1, „ატლეტიკო“ — „ვარზიმა“ 4:1.

ჩემპიონატის საუკეთესო სწრაფი „გენფიკას“ თავდამსხმელი ეუსებო — 13 გოლი.

აი, ლიდერთა ოთხეული:

	თ.	ბ.	ქ.
„გენფიკა“ (ლისაბონი)	11	23:9	19
„ავაღემიკა“ (კოიმბრა)	11	25:11	17
„პორტო“	11	22:9	16
„ლეიქსისი“ (პორტო)	11	15:9	16

ფეხბურთი

იტალია: „იუვენტუსი“ დაეწია „ინტარს“


კვირას, ჩემპიონატის XII ტურის ცენტრალურა მატჩი რომში მოეწყო. ადგილობრივი „ლაციო“ შეხვდა ქვეყნის ჩემპიონს — მილანის „ინტარს“. პირველ ნახევარში

ტერიტორიულ უპირატესობა რომელიც მხარეს იყო, მაგრამ ინტარში არ გახსნილა — 0:0. შესვენების შემდეგ ორივე გუნდი აგრესიულად იბრძოდა, მაგრამ შედეგს „ლაციომ“ მიაღწია — მე-80 წუთზე ცენტრფორვარდმა დამატომ გაიტანა ბურთი — 1:0. „ინტარს“ დარჩენილ დროში მთელა შემაღენლობით უტყვდა, მაგრამ ინტარშიის შეცვლა გერ შეძლო. შესაწინააღმდეგადა ითამაშა „ლაციოს“ მეკარე ჩემ.

გენფიკაში ტურანის „იუვენტუსმა“ მოუგო ადგილობრივი „გენფიკას“ — 2:0. ტურინელები ამ გამარჯვების შემდეგ ლიდერს გვერდში ამოუდგნენ. ტურინის მეორე გუნდის „ტორინოს“ და „ფიორენტინას“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. ფლორენციელებთან ერთი ბურთი გაიტანა პამარანმა, რომელიც დევიო ჩემპიონატის საუკეთესო სწრაფის ს. მაცოლას („ინტარი“). ორავს 9-9 გოლი აქვს გატანილი. დანარჩენი შედეგები ასეთია: „ფოჯა“ — „რომა“ 2:2, „მილანი“ — „ატალანტა“ 0:0, „ნაპოლი“ — „კალიარი“ 1:0, „ლეკო“ — „სპალა“ 1:1, „ლანეროსი“ — „მანტოვა“ 2:2, „ბოლონია“ — „ბრეშია“ 2:0.

აი, ლიდერებიც:

	თ.	ბ.	ქ.
„ინტარი“ (მილანი)	12	23:8	19
„იუვენტა“ (ტურინი)	12	17:4	19
„კალიარი“	12	14:1	16



მოყვარულთა კავშირი უარზეა

აშშ-ის ათლეტიკის მოყვარულთა კავშირმა (აიუ) თავის ბოლო სხდომაზე, რომელიც პონოლულში გაიმართა, გადაწყვიტა მძლეონობის საერთაშორისო კავშირს მსოფლიოს რეკორდულ დასამტკიცებლად არ წარუდგინოს ლ. დანეისი შედეგი ბადროს ტყორცაში (66,07, ლონგ ბიჩი) და ათლეტ ბ. ტუმის მიღწევა (8.234 ქულა, სალინა-კანასი). ეს გადაწყვეტილება შემდეგი მოტივით გაამართლეს: დანეიმა სარგებროდ შედეგს მიაღწია იმ შეჯიბრებაში, რომელიც ააიუ-ს მიერ არ იყო ორგანიზებული. ტუმის კი იმის ედავებთან, 110 მეტრზე თარჯბენისას

წესი დაირღვა, მაგრამ კონკრეტულად არ მიუთითებენ. სამაგიეროდ, ათლეტიკის მოყვარულთა კავშირმა ათქილში მსოფლიო რეკორდულ დასამტკიცებლად რეკომენდაცია მისცა რ. სოჯის მაჩვენებელს — 8.230 ქულას.

უხუცესი ფეხბურთი

ამას წინათ 70 წლის ასაკში გარდაიცვალა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი სონდი (ინდოეთი). მაგრამ მთავარი ის კი არაა, რომ სონდი ამ კავშირის ყველაზე ხანდაზმული წევრი იყო, მას ოლიმპიურ კომიტეტში მუშაობის ყველაზე დიდი სტაჟიც ჰქონდა (1932 წლიდან). სხვათა შორის, სონდის ინიციატივით შემოიღეს აზიის თამაშები. მისი გარდაცვალების შემდეგ კომიტეტში უზუცესია მარკიზი ესეტერი (ინგლისი). იგი კომიტეტის წევრია 1933 წლიდან.

ქ. ფლავიუსი ირანში

ირანის შაჰმა მოჰამედ რუჰა ფაქლევიმ ახალგაზრდა ჩოგბურთელების მწვრთნელად მიიწვია ცნობილი ავსტრალიელი სპორტსმენი კ. ფლეტჩერი. შაჰი თავდაცვ კარგადაა დაუფლებული სპორტის ამ სახეობას და სურს ირანში შეიქმნას გუნდი, რომელიც წარმატებით იასპარეზებს საერთაშორისო სარბიელზე.



△ პონტივი. აქ გამართულ საერთაშორისო კრისში ინგლისისა და საფრანგეთის საუკეთესო ათლეტები მონაწილეობდნენ. 7 კილომეტრზე ვაჟთა რბენაში ყველას აჯობა 25 წლის ლივერპულელმა სტუდენტმა ჯეკსონმა — 21.50,0. მას 4 წამით ჩამორჩა ტერნერი (ინგლისი), მესამე იყო ტიქუ (საფრანგეთი) — 22.04,0, 8. ქაზი მხოლოდ IV ადგილს დასჯერდა — 22.08,0.

△ ბანზაჰი. აზიის XI თამაშებში სიმაღლეზე სტომა ვაჟებში მოიგო სინგმა (ინდოეთი), რომელმაც მხოლოდ 205 სმ გააღწია. იაპონელებმა ოქროს 2 მედალი დაიპყრეს — 5.000 მეტრზე რბენაში და ქალთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე.

△ ფსენიანი. რსფსრ-ს მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრებმა აქ პირველი მატჩები გამართა. სამკოთა ქალებმა ერთნაირი ანგარიშით (3:0) დაამარცხეს ქალაქის I და II ნაკრები გუნდი, ხოლო ვაჟები ორჯერ დამარცხდნენ — 2:5, 0:3.

△ ბანზაჰი. სამხრეთ ამერიკის კალათბურთულ ვაჟთა ჩემპიონატი სენსაციური შედეგებით დამთავრდა. მსოფლიო ჩემპიონმა — ბრაზილიის გუნდმა არგენტინასთან ფინალში წააგო — 52:54 (24:25) და II ადგილს დასჯერდა. III ადგილზე გავიდა პერუს ნაკრები.


რედაქტორი მ. პაპაბაძე.

დღეს!
პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის საქტო დარბაზში (ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 82) გაიმართება „ბურვესტნიკის“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს II პლენუმი.
დასაწყისი 11 საათზე.




ხელშეწყობი. სპორტის სააგ. ლე. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. დღეს: 19 ს. საქართველო (ნაკრები) — უნგრეთი. 20 ს. 15 წ. იუგოსლავია — სსრ კავშირი (ნაკრები).

ფეხბურთი. არმიას სპორტკლუბის სტადიონი (შაუშიათის ქ. № 57). სპორტის დამახასიათებელი ოსტატის ვ. მარდანიას ხსოვნად მიმდინილი თაისი გათამაშების ნახევარფინალური მატჩი. დღეს — „ნორონი დინამოელი“ — რუსთავი (ნაკრები). დასაწყისი 15 ს. 30 წ.



ვაჟთა გამოდის ყოველდღი. გარდა ორშაბათისა და პარაკევისა.
რედაქტორი მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპრესიისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელ. 500000.
რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 8-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 8-95-41, მასობრივი ფიზკულტურული, მოსწყველე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მექანიკა ბიურო — 8-95-11. გამომცემი — 8-93-81.



ც ი გ უ რ ე ბ ი თ რბენაში ვაჟთა მსოფლიოს ნორიგ ჩემპიონატადგე ორი თვეც აღარ დარჩა. როგორც ცნობილია, ეს შეჯიბრება გაიმართება 11-12 თებერვალს ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, სადაც, როგორც ცალკეულ დისტანციებზე, ისე მრავალჭიბში უძლიერესის სახეობისა და სხვა საპირის ადგილებისთვის საბრძოლველად სამყაროს საუკეთესო მოციგურებები მოიყრიან თავს. მსოფლიოს უძლიერესი ათლეტები ახლა ოსლოს სტარტებისთვის ემზადებიან.

ამ სურათზეც სწორედ ჩემპიონატისთვის საშუალების ერთ-ერთი მომენტი აღბეჭდილი. ყინულის ბილიკზე ერთად ვარჯიშობენ ცნობილი ბოლანდიელი მოციგურებები შენკი (მარცხნივ) და გერვერკი.